საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოდუა ბონდო თადეოზის ძე

თოდუა ბონდო თადეოზის ძე (დ. 20. X. 1940 ზუგდიდი), ბიოლოგი, ბოტანიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტი (სსმი) (1964). იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (ქ. ოჩამჩირე, „აბნილოსი"), ბოტან. კათედრის გამგე (სსმი); 2005-იდან არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის მოადგილე სასწ. და სამეცნ. დარგში და ბიოლ. კათედრის გამგე. გამოყვანილი და გამორჩეული აქვს ტყისა და დეკორაციულ მცენარეთა 4440-მდე ახ. ფორმა, რ-ებიც გაშენებულია ვ. გულისაშვილის სახ. თბილ. სამთო მეტყევეობის ინ-ტის აფხ. სამეცნ.-საკვლევ სატყეო სადგურის ტერიტორიაზე (ქ. ოჩამჩირე „აბნილოსი"), მათგან უმრავლესობა გადარჩენილია. თ-ს სამეცნ. კვლევის სფეროა ციტოლოგია, კერძოდ კარიოლოგია (ქრომოსომების კომპლექტის, ანუ კარიოტიპების შესწავლა). შეისწავლა 550-მდე მერქნიან მცენარეთა სახეობებისა და ფორმების კარიოტიპები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.